საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

მართლმსაჯულება 1984 წლის კოდექსით

კვარტალური მიმოხილვა
(აპრილი - ივნისი, 2023)

მართლმსაჯულება 1984 წლის კოდექსით

კვარტალური მიმოხილვა

(აპრილი - ივნისი, 2023)

თბილისი

2023

კვარტალური მიმოხილვა მომზადდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

დოკუმენტის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მასში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ასახავდეს ზემოთ ნახსენები დონორი ორგანიზაციების შეხედულებებს.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

გამოცემის ხელმძღვანელი: შორენა ლოლაძე

რედაქტირება და დიზაინი: ხათუნა ყვირალაშვილი

ყდის დიზაინი: თეონა კერესელიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

© საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია / 2023

შესავალი

საქართველოში დღემდე მოქმედებს 1984 წელს მიღებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გამოწვევაა. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) წარმოგიდგენთ 2023 წლის 1-ლი აპრილიდან 30 ივნისამდე პერიოდის კვარტალურ მიმოხილვას, რომელიც ამ დროის განმავლობაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობასა და პრაქტიკაში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებს აერთიანებს.

განსაკუთრებით პრობლემური იყო 2023 წლის 2 ივნისს თბილისში, მშვიდობიან დემონსტრაციაზე უფლებადამცველების დაკავება სწორედ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე და მათ მიმართ წარმოებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები.[1] ამას მოჰყვა 3 ივნისს ქ. ბათუმში, ერას მოედანზე მიმდინარე აქციაზე 6 პირის ადმინისტრაციული წესით დაკავება (მათ შორის ორი არასრულწლოვანის), რომლებიც წინა დღეს თბილისში განვითარებულ მოვლენებს აპროტესტებდნენ.[2]

ედუარდ მარიკაშვილს საქართველოს პარლამენტის შენობასთან გამართულ რამდენიმეკაციან აქციაზე ხელში ცარიელი ფურცელი

[1] https://gyla.ge/ge/post/samoqalaqo-sazogadoebis-organizaciebi-vekhmianebit-uflebadamcvelebis-dakavebis-faqtebs (ნანახია: 05.07.2023).
[2] https://gyla.ge/ge/post/ukanono-administraciuli-dakavebebis-praqtika-batumshi-grdzeldeba (ნანახია: 05.07.2023).

ეჭირა. ამავე აქციაზე მყოფ იურისტ საბა ბრაჭველს და სამოქალაქო აქტივისტ ნიკა რომანაძეს ჰქონდათ პლაკატები წარწერით „ირაყლი“. პოლიციამ სამივე მათგანი დააკავა. დაკავების ამსახველ ვიდეო-მასალაში ისმის პოლიციელის ნათქვამი, რომ არავის აქვს ქვეყნის პრემიერ-მინისტრის შეურაცხყოფის უფლება. სამივე მათგანი დედა-ქალაქიდან რეგიონში, თელავის დროებითი მოთავსების იზოლატორ-ში გადაიყვანეს და მხოლოდ ადმინისტრაციული წესით დაკავების მაქსიმალური, 48-საათიანი ვადის ამოწურვის შემდეგ გაათავისუფ-ლეს. სახალხო დამცველმა 2 ივნისს დაკავებულ მოქალაქეებთან დაკავშირებით ხუთ საქმეზე (საბა ბრაჭველის, ედუარდ მარიკაშვილის, ნიკა რომანაძის, გრიგოლ ფრანგიშვილისა და ნოდარ სიხარულიძის საქმეებზე) თბილისის საქალაქო სასამართლოს მეგობრის მოსაზრე-ბით (Amicus Curiae) მიმართა და საერთაშორისო სტანდარტების, ევროსასამართლოს გადაწყვეტილებებისა და საკონსტიტუციო სასა-მართლოს პრაქტიკის შესახებ ინფორმაცია წარუდგინა.[3] საქმეების შესწავლის შედეგად, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ დაკავებული პირების ქმედებები სრულიად არაძალადობრივი იყო. ისინი არ გამოხატავდნენ აგრესიას სამართალდამცავების ან გამვლელების მიმართ, ხელს არ უშლიდნენ ტრანსპორტის ან მოქალაქეთა გადაადგილებას, არ ბლოკავდნენ შენობის შესასვლელს და სხვა. ამდენად, არ არსებობდა საფუძველი, რომ ეს პირები სასამართლოს სამართალდამრღვევებად მიეჩნია.

[3] https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelma-2-ivniss-dakavebuli-aktsiis-monatsileebis-sakmeebze-sasamartlos-mimarta (ნანახია: 05.07.2023).

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, 2023 წლის მეორე კვარტალში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის **1 775 შემთხვევა** გამოვლინდა.[4] აქედან:

166-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევა (წვრილმანი ხულიგნობა)	**782**
173-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევა (პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა)	**993**

მიმდინარე წლის მეორე კვარტალში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე იზოლატორებში **ჯამში 1 415 პირი** მოათავსეს.[5] აქედან:

166-173 მუხლების საფუძველზე (წვრილმანი ხულიგნობა და პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა)	**656**
მხოლოდ 173-ე მუხლის საფუძველზე (პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა)	**351**
მხოლოდ 166-ე მუხლის საფუძველზე (წვრილმანი ხულიგნობა)	**68**

[4] შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაცია, ხელმისაწვდომია: https://info.police.ge/page?id=815&parent_id=771 (ნანახია: 18.07.2023).
[5] შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაცია, ხელმისაწვდომია: https://info.police.ge/page?id=770&parent_id=233 (ნანახია: 18.07.2023).

სტატისტიკა აჩვენებს, რომ არ მცირდება გამოვლენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შემთხვევებისა და ადმინისტრაციული წესით დაკავებულთა რაოდენობა წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით.

2023 წლის მეორე კვარტალში სხეულზე არსებული დაზიანებებით და პრეტენზიით იზოლატორებში მოთავსებული პირები

2023 წლის მეორე კვარტალში სხეულზე არსებული დაზიანებებით და პრეტენზიით იზოლატორებში მოთავსებულ იმ პირთა რაოდენობა, რომლებმაც დაზიანებები სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლებთან ურთიერთობის სხვადასხვა ეტაპებზე მიიღეს (დაკავებისას, დაკავების შემდეგ, დაკავებამდე და დაკავებისას, დაკავებამდე და დაკავების შემდეგ, დაკავებისას და დაკავების შემდეგ, დაკავებამდე, დაკავებისას და დაკავების შემდეგ) შეადგენს 129-ს.[6]

[6] შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაცია, ხელმისაწვდომია: https://info.police.ge/page?id=770&parent_id=233 (ნანახია: 18.07.2023).

აქტივობები პარლამენტში

საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 30 მაისის წერილით დგინდება, რომ „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ახალ კოდექსზე მუშაობა ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანად განსაზღვრულია საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2023 წლის სამოქმედო გეგმით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ახალი კოდექსით სისტემურად მოწესრიგდება არსებული საკანონმდებლო ნორმები და შემუშავება შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი ახალი მკაფიო ნორმები. ამასთანავე, ყოველივე ეს განხორციელდება ადამიანის უფლებათა დაცვის შესაბამისი სტანდარტების გათვალისწინებით.

ამჟამად საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში ინტენსიურად მიმდინარეობს აღნიშნულ საკითხზე მუშაობა, რაშიც კომიტეტის წევრებსა და კომიტეტის აპარატის საჯარო მოხელეებთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორები“.[7]

როგორც ცნობილია, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2023 წლის სამოქმედო გეგმის პირველი საკითხი, წინა წლის მსგავსად, სწორედ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ახალ კოდექსს შეეხება.

[7] საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 30 მაისის წერილი, N3986/2-7/23.

გეგმის მიხედვით, 2023 წელს უნდა მომზადდეს კანონპროექტის სამუშაო ვერსია.[8] მოთხოვნის მიუხედავად, წლის განმავლობაში განხორციელებული კონკრეტული აქტივობების შესახებ ინფორმაცია საიას არ მიეწოდა.

[8] საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2023 წლის სამოქმედო გეგმა, ხელმისაწვდომია: https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Komitetebi/iuridiuli/samoqm-gegm/iuridiuli_samoqmedo-2023.pdf (ნანახია: 22.05.2023).

საქმეების მიმოხილვა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ჩხარტიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2023 წლის 11 მაისს გამოაცხადა გადაწყვეტილება საქმეზე „ჩხარტიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“. სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-11 მუხლი (შეკრების თავისუფლება) მე-10 მუხლთან (გამოხატვის თავისუფლება) ერთობლიობაში.

საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, 2019 წლის 29 ნოემბერს, დილით, ჩხარტიშვილმა მონაწილეობა მიიღო თბილისში, საჯარო ბიბლიოთეკის წინ გამართულ აქციაში, სადაც იუსტიციის მინისტრის სიტყვით გამოსვლა იყო დაგეგმილი. დემონსტრაცია, რომელსაც რამდენიმე ასეული მომიტინგე დაესწრო, იყო პარლამენტის მიერ საარჩევნო რეფორმის დამტკიცების ჩავარდნით გამოწვეული საპროტესტო ციკლის გაგრძელება. ღონისძიების ამსახველ ვიდეომასალაში ჩანს, რომ პოლიცია მომიტინგეებს ეუბნება, არ გადაკეტონ გზა და შენობის შესასვლელი. ასევე ჩანს, როგორ ესვრის მომჩივანი პოლიციას ლობიოს მარცვლებს და ყვირის, რომ ლობიო ადრე „მონების ფაფა“ იყო.

შედეგად, მომჩივანი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ორი მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის ფაქტზე

დაუყოვნებლივ დააკავეს და თბილისის პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის მიხედვით, მომჩივანმა გადაკეტა გზა, დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი, შეურაცხყოფა მიაყენა პოლიციას და არ დაემორჩილა მათ ბრძანებებს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მომჩივანი ცნო ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად და სანქციის სახით რვადღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა. სასამართლომ განმარტა, რომ პოლიციელების „მონებად“ მოხსენიება იყო შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი და საქართველოს კანონმდებლობა ამისთვის ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას. ეროვნულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მსგავსი ქმედებები არ შეიძლება მიჩნეული იყოს პროტესტის ფორმად.

მომჩივანი დავობდა მე-6 (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება), მე-10 (გამოხატვის თავისუფლება) და მე-11 (შეკრების თავისუფლება) მუხლებზე დაყრდნობით და აცხადებდა, რომ მისი საქმე სასამართლომ არ განიხილა სამართლიანად, ხოლო მისი დაკავება და დაპატიმრება იყო მის უფლებებში დაუსაბუთებელი ჩარევა. იგი ასევე მიუთითებდა, რომ მე-5 მუხლის 1(გ) ქვეპუნქტის საფუძველზე (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) მისი ადმინისტრაციული დაკავება და დაპატიმრება იყო უკანონო და თვითნებური.

ევროპულმა სასამართლომ განიხილა მომჩივნის მოთხოვნები მხოლოდ მე-11 მუხლის საფუძველზე, მე-10 მუხლთან ერთობლიობაში და მიუთითა, რომ საჯარო მოხელეები, რომლებიც მოქმედებენ სამსახურებრივი უფლებამოსილებით, ექვემდებარებიან მისაღები კრიტიკის უფრო ფართო საზღვრებს, ვიდრე ჩვეულებრივი მოქალაქეები. მეორე მხრივ, სასამართლომ მხედველობის მიღმა ვერ დატოვა ის

ფაქტი, რომ ჩხარტიშვილმა პოლიციას საჯაროდ ესროლა გამხმარი ლობიო მაშინ, როცა ოფიცრები თავიანთ საქმეს ასრულებდნენ.

ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მომჩივანი არ ყოფილა მოძალადე, ლობიოს არავინ დაუზიანებია და არ გამოუწვევია ძალადობის ესკალაცია. მნიშვნელოვანია, რომ თავად დემონსტრაცია მშვიდობიანად წარიმართა. სასამართლომ მიუთითა, რომ მე-10 მუხლი იცავს არა მხოლოდ გამოხატული იდეებისა და ინფორმაციის შინაარსს, არამედ მათი გადმოცემის ფორმასაც. შესაბამისად, მაშინაც კი, თუ მომჩივნის საქციელმა, შესაძლოა, გაამართლა ხელისუფლების მხრიდან ჩარევა, მათ უნდა სცოდნოდათ, რომ პატიმრობის სანქცია გამოიყენებოდა ფუნდამენტური უფლების კონტექსტში, რაც მოითხოვდა განსაკუთრებით ფრთხილ მიდგომას.

ევროპული სასამართლოს მოსაზრებით, მომჩივანს რვადღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდა, ძირითადად, საკუთარი შეხედულებების გამოხატვის გამო და არა იმიტომ, რომ გზიდან არ გადავიდა. თუმცა, ეროვნული სასამართლოების მსჯელობა პატიმრობის სანქციის დაკისრების გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით არ ეხებოდა მომჩივნის ქცევის უფრო ფართო კონტექსტს. გარდა ამისა, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოყვანილი საფუძვლები, თავისთავად, საკმარისი არ იყო სანქციის პროპორციულობის დასადგენად. სათანადო მსჯელობის არარსებობის პირობებში, ასევე გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების კონტექსტში, მომჩივნის არაძალადობრივ ქცევაზე თავისუფლების აღკვეთის სანქციის გამოყენება გაუმართლებელი იყო მაშინაც კი, თუ ეს ქცევა შემაწუხებელი იყო. ამდენად, სასამართლომ

დაასკვნა, რომ დაირღვა კონვენციის მე-11 მუხლი, მე-10 მუხლთან ერთობლიობაში.[9]

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებში მტკიცების ტვირთის შეფასება

სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე ლიკა ბოკერია) განიხილა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე, რომელიც 2023 წლის მაისში საგარეჯოს პოლიციის ადმინისტრაციულ შენობასთან დაკავებულ პირებს შეეხებოდა. დაკავებულები აპროტესტებდნენ 20 მაისს ყვარლის ტბასთან მიმდინარე აქციაზე იმ მშვიდობიანი მომიტინგეების დაკავებას, რომლებიც რუსი პოლიტიკოსის შვილის ქორწილის ყვარელში გამართვისა და, ზოგადად, რუსეთის მიმართ სახელმწიფოს პოლიტიკის გამო შეიკრიბნენ. სასამართლოს დადგენილების თანახმად, ხსენებული პირები დაკავებამდე საგარეჯოში, დასახლებულ ტერიტორიასთან ახლოს, მიკროფონში ხმამაღლა იძახდნენ შემდეგ ფრაზებს: *„ფარჩაკებო, რუსეთის მონებო, მათხოვრებო, რუსეთი ოკუპანტია“* და *„გაუმარჯოს საქართველოს“*. პოლიციის შეფასებით, ამ ქმედებით ირღვეოდა საზოგადოებრივი წესრიგი (166-ე მუხლი), გარდა ამისა, დაკავებულებმა მხედველობაში არ მიიღეს სამართალდამცველების მოთხოვნა ქმედების შეწყვეტის თაობაზე და მათ უცენზურო სიტყვებით მიმართეს (173-ე მუხლი).

სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ დაკავებული პირები არ მიიჩნია ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევებად, შესაბამისად, შეწყდა

[9] Case of Chkhartishvili v. Georgia (application no. 31349/20, ხელმისაწვდომია: https://hudoc.echr.coe.int/fre#{%22tabview%22:[%22translation%22],%22itemid%22:[%22001-224577%22]} (ნანახია: 14.08.2023).

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე ორივე მუხლთან მიმართებით. სასამართლომ დადგენილებაში შეაფასა მტკიცებულებების მნიშვნელობა, სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლის ახსნა-განმარტების როლი პირის სამართალდამრღვევად ცნობისას, მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხი და მტკიცებულებათა ერთიანობაში შეფასების აუცილებლობა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მტკიცების პროცესში ყურადღებას იმსახურებს სამართალდარღვევის აღმკვეთი პირების მიერ დაფიქსირებული გარემოებები, ვინაიდან ისინი მტკიცებულების უმნიშვნელოვანესი წყაროა. საჯარო მოსამსახურის ახსნა-განმარტება შეიცავს მაღალი სანდოობის ნიშნებს, რასაც მნიშვნელობა აქვს მოსამართლის შინაგანი რწმენის ფორმირებისთვის. თუმცა, ამის მიუხედავად, პირის სამართალდამრღვევად ცნობისთვის საჭიროა, სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლის ახსნა-განმარტება სხვა სახის მტკიცებულებითაც იყოს დადასტურებული. სასამართლომ მიუთითა, რომ კონკრეტული ფაქტობრივი გარემოების უტყუარად მიჩნევისთვის, აუცილებელია, ისინი საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან იყოს შეჯერებული და მოსამართლემ გადაწყვეტილება მათი ერთობლივი გაანალიზების საფუძველზე მიიღოს.

დადგენილების თანახმად, კანონმდებელი ადგენს სტანდარტს, რომელიც გულისხმობს მტკიცებულებათა ერთობლიობას. ეს მტკიცებულებები კი უნდა იყოს ერთმანეთთან შეთანხმებული და მათ შორის უნდა არსებობდეს შინაარსობრივი კავშირი.

ამდენად, იმის მიუხედავად, რომ სასამართლოში სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლის მიერ გაკეთებული ახსნა-განმარტებით დგინდებოდა პირების მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, ეს არ დადასტურდა მის მიერვე წარდგენილი სამხრე ვიდეოკამერის

ჩანაწერით, რაც პირის მიმართ დაწყებული საქმის შეწყვეტის საფუძველი გახდა.

Tik-Tok-ის პლატფორმაზე გამოქვეყნებული ვიდეოს საფუძველზე პირის სამართალდამრღვევად ცნობა

2023 წლის იანვარ-მარტის პერიოდის კვარტალურ მიმოხილვაში აღწერილი იყო საქმე, რომელიც შეეხებოდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 10 მარტის დადგენილების საფუძველზე, კურიერის ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნობას Tik-Tok-ზე განთავსებული ვიდეოს შინაარსის გამო.[10]

სასამართლოს მიერ სამართალდამრღვევად ცნობილი პირი არის კურიერი, რომელსაც ქალაქში უწევს მოპედით გადაადგილება. მან სოციალურ ქსელ Tik-Tok-ზე გამოაქვეყნა ვიდეო სათაურით: *„ვისაც გინების მოსმენა არ გსურთ, არ უყუროთ და არ უსმინოთ“.* ვიდეოჩანაწერში პირი გამოხატავდა მწვავე პროტესტს თბილისის სატრანსპორტო პოლიტიკის მიმართ. იგი აკრიტიკებდა იმ ადამიანებს, რომლებიც თავიანთ სამსახურებრივ უფლებამოსილებას იყენებენ ბოროტად და სარგებლობენ პრივილეგირებული მდგომარეობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს დადგენილებით, ნაწილობრივ გაუქმდა პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილება. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ შეწყვიტა საქმის წარმოება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილით (სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის სიტყვიერი შეურაცხყოფა ან/და მის მიმართ სხვა შეურაცხმყოფელი

[10] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 10 მარტის დადგენილება, საქმეზე N4/456-23.

ქმედების განხორციელება) გათვალისწინებულ სამართალდარღვევასთან მიმართებით, თუმცა ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება 166-ე მუხლის პირველი ნაწილით (წვრილმანი ხულიგნობა) გათვალისწინებული გადაცდომისთვის პირის სამართალდამრღვევად მიჩნევის ნაწილში.[11]

სააპელაციო სასამართლომ, მართალია, გაიზიარა სააპელაციო საჩივრის ავტორის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ არ იკვეთებოდა 173-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გადაცდომის ფაქტი (პოლიციელისთვის შეურაცხყოფის მიყენება), თუმცა დადგენილებაში მოცემული არ არის ამ კუთხით საქმის წარმოების შეწყვეტის დასაბუთება. რაც შეეხება 166-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაცდომას, სააპელაციო სასამართლომ, სრულად გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება და მიიჩნია, რომ საკუთარ სოციალურ ქსელში პირის მიერ განთავსებული ვიდეო სცდება კრიტიკის ფარგლებს, ეწინააღმდეგება საყოველთაოდ დამკვიდრებულ ნორმებს და არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს.

სააპელაციო სასამართლოს დადგენილება პირის წვრილმან ხულიგნად მიჩნევის თაობაზე, არსებული რეგულაციების მიხედვით, ეროვნულ დონეზე აღარ საჩივრდება. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილებაში ამ საკითხთან დაკავშირებით განვითარებული მსჯელობა საკმაოდ სახიფათო პრეცედენტია და ეწინააღმდეგება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების არსებულ სტანდარტებს.

[11] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 11 მაისის დადგენილება საქმეზე N4/ა-487-23.

შსს-ს უკანონო პრაქტიკა პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო სამართალდამრღვევად ცნო პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპის დარღვევისთვის და 500 ლარის გადახდა დააკისრა.[12]

საქმე შეეხება 2023 წლის 8 მარტს ქალაქ თბილისში, საქართველოს პარლამენტთან მიმდინარე საპროტესტო აქციაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე (პოლიციელის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობა) მუხლების სავარაუდო დარღვევისთვის დაკავებულ პირებს. კერძოდ, შსს-ს მიერ ამ პირთა საქმეების სასამართლოში წარდგენის ეტაპზე, თითოეული მათგანის საქმის მასალები, მტკიცებულების სახით, მოიცავდა „შეტყობინებას", რომელშიც მითითებული იყო 43 დაკავებული პირის პერსონალური მონაცემები - სახელი, გვარი, დაბადების წელი და ადმინისტრაციული წესით დაკავების სამართლებრივი საფუძვლები. შესაბამისად, იმის მიუხედავად, რომ საქმეების განხილვა ინდივიდუალურად მიმდინარეობა, ყველა პირის საქმეში იყო მონაცემები სხვა დაკავებულთა შესახებ.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ „კონკრეტული პირის მიმართ მიმდინარე საქმისწარმოების ფარგლებში საჭირო არ იყო სხვა დაკავებული პირების შესახებ ინფორმაციის დამუშავება". შესაბამისად, დაკავებულთა საქმეებში სხვა პირების შესახებ ინფორმაციის დაუფარავი ფორმით

[12] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის 2023 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება Nგ-1/126/2023.

განთავსება მიიჩნია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სამართალდარღვევად.

აღსანიშნავია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ უკვე არაერთი გადაწყვეტილება აქვს მიღებული მონაცემების უკანონო დამუშავებასთან დაკავშირებით. ამის მიუხედავად, დღემდე პრობლემურია უწყებაში ამ საკითხის სისტემური გადაწყვეტა და ადმინისტრაციული პრაქტიკის შეცვლა.[13]

[13] https://gyla.ge/ge/post/shinagan-saqmeta-saministro-personalur-monacemebs-ukanonod-amushavebs (ნანახია: 15.08.2023).